



ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს
პარლამენტის არჩევნებისთვის

2020 - მნიშვნელოვანი არჩევნები

ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების
მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი

პროექტის განხორციელების პერიოდი 25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წელი

პროექტის მიზანი

საგრანტო პროექტის მიზანი იყო 2020 საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობა.

ასევე მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოსა და კრწანისის ოლქებში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა:

- არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება;
- ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, იძულებით გადაადგილებულ პირების საინფორმაციო-საგანმანათლებლო სატრენინგო კურსის ჩატარება;
- 48-60 სამიზნე ამომრჩეველზე 8 სატრენინგო დღის ჩატარებას;
- 4 ოლქში, 12 ლოკაციაზე საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება და ამომრჩევლებთან გასაუბრება.

პროექტის განხორციელების არეალი

საგრანტო პროექტი განხორციელდა თბილისის მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოსა და კრწანისის ოლქებში

პროექტის სამიზნე ჯგუფი

საგრანტო პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო შერეული ჯგუფის წარმომადგენლებმა მათ შორის ახალგაზრდებმა, ქალებმა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა. ჯამში პროექტის ფარგლებში მონაწილეთა რაოდენობა შეადგინა 60, მათ შორის ქალი 49 (81,7%); კაცი 11 (18,3%)

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

პროექტის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციართა შესაბამისად შეიქმნა ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდებათ 2 დღიანი ტრენინგები (4 ჯგუფთან) .

ჩატარდა 12 გასვლითი შეხვედრა ხალხმრავალ ადგილებში და მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საინფორმაციო ბუკლეტების მეშვეობით. გასაუბრება მოხდა დაახლოებით 600-მდე ამომრჩეველთან და დარიგდა 500-მდე საინფორმაციო ფლაერი, აგრეთვე პლანშეტების მეშვეობით ხდებოდა მოსახლეობის დახმარება ამომრჩეველთა ერთიან სიაში მათი გადამოწმების მიზნით.



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

საგრანტო პროექტის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისის ოლქებში განხორციელდა ტრენინგები ამომრჩეველთა პოლიტიკური კულტურის განვითარებისა და შემდგომ არჩევნებში მათი მაღალი დონით ჩართულობის ინიცირებისათვის, რამაც ბენეფიციარებში გააძლიერა მოტივაცია და აამაღლა სამოქალაქო ცნობიერების დონე. პროექტმა ხელი შეუწყო დემოკრატიის ცნობიერების განვითარებას და საარჩევნო უფლებების ეფექტურად რეალიზების ტენდენციას.

აღნიშნული შედეგი და დასახული ამოცანები მიღწეული იქნა ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების დროს ამომწურავი საინფორმაციო-საარჩევნო და სხვა მასალების ბენეფიციარებისთვის მიწოდება-გაცნობის შედეგად, რაც გამყარებული იქნა მათთან იქვე ჩატარებული ცოცხალი დიალოგით და მათ ნებისმიერ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხების გაცემით.

ჩვენი ორგანიზაციის მიერ სწორად დასახული სტრატეგიისა და შესაბამისი გადაგმული ნაბიჯების წყალობით, პროექტის შედეგად მივაღწიეთ და მივიღეთ ის ეფექტი, რომ პროექტში მონაწილე ფართო საზოგადოების განწყობა ამაღლდა არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულებასთან დამოკიდებულებაში.



მადლობა ყურადღებისთვის